№ 217

შაბათი, 10 ოქტომბერი, 1898 წ.

გაზეთი ღირს:

თვე	მან.	კ.	თვე	მან.	კ.
12 . . .	10	—	6 . . .	6	—
11 . . .	9	50	5 . . .	5	50
10 . . .	8	75	4 . . .	4	75
9 . . .	8	—	3 . . .	3	50
8 . . .	7	25	2 . . .	2	75
7 . . .	6	50	1 . . .	1	50

ცალკე ნომერი—ერთი შაური

„ივერიის“ ტელეფონი № 227

1877—1898

ივერია

№ 217

შაბათი, 10 ოქტომბერი, 1898 წ.

რედაქცია:
ნიკოლოოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.

გაზეთის დასაბარებლად
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხვ.
გამავრც. საზოგადოების კანცელარიას

ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე
16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227

ქართული გალობის სამუდამო გუნდი

სასულიერო მთავრობის განკარგულებით ტფილისის ანჩისხატის ტაძართან არსდება ქართულ მგალობელთა სამუდამო გუნდი. აზრი ამ გუნდის დაარსებისა არის—დაცვა ძველის ქართულის სასულიერო კილოებისა და მათი გავრცელება საქართველოში. ამა მგალობელთა გუნდის შედგენა მე მაქვს მონდობილი და ამიტომ მოვიწვევ ქართულის გალობის შესწავლის მსურველთა გამოცხადდნენ ჩემთან ანჩისხატის ტაძრის ეზოში პირობების შესატყობად და საქმის განსახორციელებლად. ეკკლესიაში გალობის დაწყებისათანავე გუნდს დაენიშნება ყოველთვიური გარდაკვეთილი ჯამაგირი.

ანჩისხატის სობოროს მღვდელი პოლიევქტო კარბელაშვილი

(4—უ—1)

პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ბ. ა. ნავასარდიანი, 11—12 საათ. სადოსტაქარო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

ე. მ ჩიქოვანი, 9—10 საათ. სნეულებანი: შინაგანი, თვალისა და ნერვებისა.

მკურნალი-ქალი. **ა. ი. რუდენკო.** $10^1/_2$—$11^1/_2$ საათ. ქალთა სენით და ბავშვების ავადმყოფ. მსურველთ ყვავილს აუცრის.

ზ. ი. ბაბანასიანცი.—დილის $11^1/_2$—12 ს. ქალთა სენით ავადმყოფებს.

ა. ზ. კარაპეტიანცი. 1—$1^1/_2$ საათ. შინაგანი და ბავშვების.

ა. გ. გურკო. $1^1/_2$—$2^1/_2$ ს. შინაგანი, და საშარდეს ავადმყოფობის. ყურის, ყელის და ცხვირის ავადმყოფ.

საღამოობით:

გ. მ. მახვილაძე.—6—7 საათ. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფ. ნერვებისა და კანის სნეულებ.

ბ. ა. ნავასარდიანი—$6^1/_2$—7 საათ.

ტ. ი. რუდენკო—სამკურნალოში გამოიკვლევს ქიმიურად და მიკროსკოპიულად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница *Д-ра Навасардіана*.

Тифлисъ, противъ памятн. Воронцову.

(წ)

ტფილისი, 9 ოქტომბერი

წინა წერილში დავპირდით მკითხველებს მცირეოდნად გაცნობას მოსამსახურეთა მდგომარეობის გაწესრიგების დებულების პროექტისას, რომელიც ამ ჟამად პეტერბურგის ქალაქის საბჭოსა აქვს წარდგენილი მისდა განსახილველად. ეს პროექტი ორ ნაწილად განიყოფება. პირველი ნაწილი შეიცავს შვიდს თავს შინა მოსამსახურის დაქირავების დებულებისას, ხოლო მეორე—ექვს თავს, რომელშიაც აღნიშნულია წეს-რიგი და პირობანი, თუ როგორი მეთვალყურეობა უნდა დაწესდეს მოსამსახურეებზედ.

ამ „მოსამსახურეთა სამეთვალყურეოს“, რომელიც, პროექტით, პეტერბურგის ქალაქის უფროსის გამგეობასთან უნდა დაარსდეს, განაგებს ცალკე უფროსი. ამ უფროსს თანაშემწე ჰყავს, სამი საქმეთ-მწარმოებელი და კანცელარია. აქ უნდა იყოს შედგენილი სახელდობრივი სია მოსამსახურეებისა იმ ცნობებითურთ, თუ რა ხელობა-საქმისანი არიან, როდის შესულან სამსახურში, სამართალში ყოფილან თუ არა მიცემული, რა მოწმობითა სცხოვრობენ და სხ.; აქვე ეძლევათ მოსამსახურეებს სამსახურის წიგნაკები და ბარათები უადგილოდ ცხოვრების ნება-რთვისა, ხოლო კერძო კაცთ—ცნობები ამა თუ იმ მოსამსახურეების შესახებ. უსამსახურის-წიგნაკოდ არავის არა აქვს ნება მოსამსახურედ დადგეს. ამ წიგნაკს „სამეთვალყურეო“ აძლევს, როდესაც მას წარუდგენენ ბაშპორტსა და მოწმობას ბოქაულისას. წიგნაკის გარდასახადად მოსამსახურეს ერთმევა 15 კაპ., ხოლო ადგილის გამოცვლისა—1 მან., რომლის ფასისაც განსაკუთრებით დადგენილს მარკას აკრავენ წიგნაკში. თუ ვინმემ მოსამსახურე დაიქირავა და მისი წიგნაკი ორის კვირის განმავლობაში არ წარუდგინა „სამეთვალყურეოს“, მას ან 50 მან. ჯარიმა გარდახდება და ან 20 დღემდე დაპატიმრებულ იქმნება.

ვინც ქალაქში ადგილის საძებნელად ჩავა, იგი სამის დღის განმავლობაში უნდა გამოცხადდეს „სამეთვალყურეოს“ წინაშე და მიიღოს სამსახურის წიგნაკი და ბარათი უადგილოდ ცხოვრების ნება-რთვისა. ეს ბარათი ერთის თვის ვადით ეძლევა და მისი განახლება მხოლოდ მაშინ შეიძლება, თუ მოსამსახურემ შესაწყნარებელი მიზეზები წარადგინა ამ განახლებისა. ამ წესების დარღვევისათვის მოსამსახურეს ერთმევა ჯარიმა 100 მან. და ან დაპატიმრებულ იქმნება ერთ თვემდე. თუ წიგნაკში სამის დამქირავებლისაგან სათაკილო და წუნ-დამდები შენიშვნა აღმოჩნდა მოსამსახურის სამსახურის შესახებ, იგი გაგზავნილ იქმნება თავისს საცხოვრებელს ადგილას და ქალაქში ერთიდგან სამ წლამდე ცხოვრება აეკრძალება. ამ დებულებას ძალა აქვს ყველა შინა მოსამსახურისათვის, სახელდობრ—ხელზედ მოსამსახურისა, მეჯინიბისა, მზარეულისა, ასისისა, მეკარისა, ძიძისა, მოსამსახურე დედაკაცისა, მრეცხავისა და სხვათათვის.

დებულების პირველს ნაწილში საკმაოდ წინ დანახულია, რა დამოკიდებულება უნდა არსებობდეს მოსამსახურედ დაქირავებულისა და დამქირავებელს შორის და რა გვარი უთანხმოებაა მოსალოდნელი. შემდეგში განზრახვა აქვთ „სამეთვალყურეოსთან“ დააარსონ ცნობათა მიმცემი განყოფილება, რომელიც დაქირავების მსურველთ მოსამსახურეებს უშოვნის, ხოლო უადგილო მოსამსახურეთ—ადგილს. გამოიცემა თუ არა ეს დებულება, რაც პეტერბურგში მოსამსახურენი არიან, იმათი სია იქმნება შედგენილი ექვსის თვის განმავლობაში და ყველას სამსახურის წიგნაკები დაურიგდებათ. რაც ფული შეიკრიბება „სამეთვალყურეოში“, იგი გაისტუმრებს „სამეთვალყურეოს“ მოხელეთა ხარჯს და აგრეთვე იქიდგანვე მოსამსახურეებს ჯილდო მიეცემათ უნაკლულო და უმწიკვლო სამსახურისათვის. თუ ფული გადარჩა და თანხა შესდგა, თავშესაფარი უნდა გაიმართოს მოხუცებულ და შრომისათვის გამოუსადეგარ მოსამსახურეთა შესავრდომებლად, დროებით უადგილოდ დარჩენილთა და თავისის კარგის ყოფაქცევით ქებულთა მოსამსახურეთა საცხოვრებელ ბინის გასამართად და, ამას გარდა, ერთ ხნობით შემწეობა-დახმარების აღმოსაჩენად, თუ რომელიმე მოსამსახურეთაგანი ავად გახდა, ან დაშავდა.

ეს პროექტი, საბჭოს მიერ განხილვის შემდეგ, შინაგან საქმეთა სამინისტროს წარედგინება დასამტკიცებლად.

აქვე საჭიროდ ვრაცხთ განვაცხადოთ, რომ ტფილისში შემდგარს კერძო თაოსნობას ამ საქმისას უკვე შეუმუშავებია პროექტი, რომელიც ამ ჟამად იბეჭდება. ამ პროექტს ამ ახლო ხანში გავიცნობთ და მაშინ შევეძლება მისი ღირსება-ნაკლულევანების გამორკვევა ვარშავაში მომქმედ და პეტერბურგში შემოსაღებად განზრახულ მოსამსახურეთა დებულებასთან შედარებით.

ფარნაოზი

◆

მთავრობის განკარგულებანი

უმაღლესად დამტკიცებულის 1848 წლის 10 ივლისს მინისტრთა კომიტეტის დადგენილებით დამტკიცებულ იქმნა ბელგიის სააქციონერო საზოგადოების „გურიაში ნავთისა და მადნეულობის აღმომჩენელი და მწარმოებელი უსახელო საზოგადოების“ მოქმედების პირობანი. საზოგადოებას ნება აქვს აღმოაჩინოს და აწარმოოს ნავთი და მადნეულობა (ოქროს გარდა) ქუთაისის გუბერნიის ოზურგეთის მაზრაში.

ებოძათ: ანნის ლენტით გულზედ სატარებლად ვერცხლის მედალი ზედ წარწერით: „საპატიმროებში უნაკლულო სამსახურისათვის“: თელავის საპატიმროს ზედამხედველებს: დავით მაღალაშვილს და ზაქარია ციგნაძეს.

◆

ახალი ამბავი

⁂ „კრებულის“ ახლანდელს პროგრამას მოემატება ბელეტრისტიული და კრიტიკული განყოფილება. გადიდებულის პროგრამით „კრებული“ გამოვა მომავალის წლის პირველ იანვრიდგან. თითონ კრებულის შექმნა აკაკის დაბა ზესტაფონში გადააქვს, სადაც ჟურნალში დაახლოვებულს მონაწილეობას მიიღებს ახალგაზდა ექიმი ბ-ნი ვახტანგ ღამბაშიძე. ცხოვრებითაც აკაკი, ექიმების რჩე-

---

ფელეტონი

ამბავი კაპიტოლიის ვენერასი

(მარკ ტვენისა)

კარი პირველი

(სკულპტორის გეორგის სახელოსნო რომში)

— ო, გეორგ, რა ძლიერ მიყვარხარ!

— ვიცი, ჩემო მარო, დალოცოს ღმერთმა შენი კეთილი და ჩჩვილი გული, მაგრამ მამა შენი ძლიერ მკაცრი და თავის ნათქვამი კაცია.

— მამა ჩემი, ჩემო გეორგ, სულელი არ არის, მაგრამ ხელოვნება სისულელედ მიაჩნია... ხოლო თავისი საქმე კარგად იცის, იცის ვაჭრობაც და ასე ჰგონია, რომ შიმშილით მომკლავ.

— დაწყევლილ იყოს იმისი სიბრძნე: ცოტა არ იყოს, წინასწარმეტყველობასა ჰგავს ეგა! ოჰ, ღმერთო, რად არ დამბადე მედუქნედ, რომ ფული მომეგო, რად დამაჯილდოვე ხელოვნების ნიჭით და რად არ მომეცი მე საჭმელი!

— გულს ნუ გაიტეხ, ჩემო ერთგულო გეორგ: მამა ჩემი დასთანხმდება ჩვენს ქორწინებაზე, როცა 50 ათასს დოლლარს *) შეიძენ...

— ორმოცდა ათს ეშმაკს! ჩემო კარგო, მე ჯერ სახლის ქირა არ მიმიცია.

კარი მეორე

(გეორგის ოთახი რომში)

— მოწყალეო ხელმწიფევ, ჩვენი საუბარი ამაოა. მე თქვენ არ მეჯავრებით, მაგრამ ჩემს ქალს ვერ მივათხოვებ სიყვარულისა, ხელოვნებისა და შიმშილისაგან შეზავებულსა და გამომცხვარს ქადას—ამაზე მეტს მგონია ვერაფერს მიანიჭებთ თქვენს ცოლს.

— მოწყალეო ხელმწიფევ,—თქვენ მართალსა ბრძანებთ, მე ღარიბი ვარ მაგრამ სახელი არაფრადა ჰღირს? არკანზასელი პატივცემული ბალლამი ფუდლი ამბობს, რომ ჩემ მიერ, გაკეთებული ქანდაკება, რომელსაც სახელად ამერიკა დავარქვი, საოცარი რამ არის და ეჭვიც არა აქვს, რომ სახელი ჩემი ოდესმე დიადი იქმნება...

— ჩერჩეტი! აბა რა ეყურება იმ არკანზასელს ვირს ხელოვნებისა! სახელი აქ მოსატანი არ არის და გროშადაც არა ჰღირს. საქმე ის არის, როგორ გაიყიდება ეგ თქვენი შესანიშნავი ქანდაკება. მთელ ხუთ თვეს აკეთეთ ეგ ქანდაკება და დიდი ქებაა, თუ 100 დოლლარად გაიყიდა. არა ჩემო ბატონო, მომიტანეთ 50,000 დოლლარი და მაშინ წაიყვანეთ ჩემი ქალი. თუ არა და ახალგაზდა სიმპერს მივათხოვებ. ექვსის თვის ვადა მომიცია. ეხლა-კი ნახვამდის, ჩემო ბატონო!

— ოჰ, ღმერთო! რა წყალში ჩავარდე ეხლა!

კარი მესამე.

(გეორგის სახელოსნო)

— ოჰ, ჩემო ჯონ, ჩემო მეგობარო, ჩემო ძმაო, რომ იცოდე, რა უბედური კაცი ვარ!

— შენ ბრიყვი ხარ, მეტი არაფერი!

— მე აღარავინ დამრჩენია ამ ქვეყნად გულის საყვარელი ჩემის საბრალო ქანდაკების გარდა... მაგრამ მაგასაც არ ეტყობა მარმარილოს სახეზე არავითარი თანაგრძნობა—მშვენიერია, მაგრამ უგულოც არის!

— შენ სულელი ხარ, სულელი, მეტი არაფერი!

— ოჰ, ჯონ!

— ოჰ, შე უტყვინო პირუტყვო, შენა! შენ თითონ არა სთქვი, ექვსის თვის ვადა მაქვს, რომ ის ფული ვიშოვნოო!

— ჯონ, ნუ დასცინი ჩემს უბედურებას! ექვსის საუკუნის ვადაც რომ მომცენ, რას უშველის ჩემისთანა უბედურს კაცს, რომელსაც არა აქვს არც სახელი, არც ერთი გროში ფული. არა ჰყავს მეგობრები!..

— სულელო! მხდალო! რეგვენო! ექვსი თვე ვადა გაქვს, რომ ფული იშოვნო და ხუთი თვეც კი საკმარისია!

— ხომ არ გაგიჟდი!

— ექვსი თვე! ეგ ბევრიც არის. მე გიშოვნი ფულს!

— ჯონ, რა გინდა სთქვა მაგითი? განა მთელ დედამიწაზედ არის რამ ისეთი საშუალება, რომ მაგოდენა ფული მომიგროვო?

— შენ ეგ საქმე მე მომანდევე და ნურაფერში გაერევი. თანახმა ხარ თუ არა—ეგ საქმე სრულიად და სავსებით მე ჩამაბარო? დაიფიცე, რომ დაემორჩილები ყოველსავე ჩემს მოქმედებას და როგორც უნდა მოვიქცე, არ გამკიცხავ!

— თავზრუ მესხმის,—გული მიმდის,—მაგრამ ბატონი ხარ, გეფიცები!

ჯონმა ხელში ჩაქუჩი აიღო და ისეთის სახით, თითქოს აქ არაფერიაო, ამერიკას ცხვირი მოაგდებინა. ერთი კიდევ შემოჰკრა ჩაქუჩი და ამერიკის ორი თითი ძირს ჩამოცვივდა,—ერთი კიდევ და ყური მოსტეხა,—კიდევ—და ფეხის თითები დაემსხვრა,—კიდევ—და მარცხენა ფეხი მუხლს ქვემოდგან მტვრად იქცა.

ჯონმა ქუდი ჩამოიფხატა და წავიდა.

---

*) დოლლარი, ორს მანათს უდრის.

ვის თანახმად, თავისს სამშობლო სოფელს საჩხერეში იცხოვრებს.

⁂ გუშინ, 9 ოქტომბერს, ტფილისის გუბერნატორმა წინადადება მისცა ქალაქის მოურავს ბ-ნ ევანგულოვს დაუყოვნებლივ ყოველ მხრივ განიხილოს საბჭომ—რა უმჯობესი იქმნება ქალაქისათვის, ცხენის რკინის გზა გამოისყიდოს და თითონვე აწარმოვოს, თუ ის, რომ ამ გზის წარმოება ისევ ბელგიის საზოგადოების ხელში დარჩესო. ჩემამდე მოაღწია ამბავმა, რომ საბჭოს 23 სექტემბერს დადგენილების შემდეგ ხსენებული საზოგადოება წინანდელთან შედარებით უფრო კარგს პირობას იძლევა, რომლის განხილვა ასე თუ ისე საბოლოოდ გარდასწყვეტს გზის გამოსყიდვის საქმესაო.

ამ საქმის განსახილველად ქალაქის მოურავმა საბჭოს საგანგებო კრება 14 ოქტომბერს დანიშნა.

⁂ რუსეთის საბაღოსნო საზოგადოების კავკასიის განყოფილება გვთხოვს გამოვაცხადოთ, რომ ბაღოსნობის გამოფენაზედ ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, $1^1/_2$ საათიდგან $2^1/_2$ საათამდე და 4 დგან-$5^1/_2$ საათამდე აუხსნიან დამსწრეთ გამოფენილ ნივთებს. ამასთან წაკითხულ იქმნება ყველასათვის გასაგები ლექციები ტყის გაშენების, თესლის გაწმენდის, დათესვისა, აბრეშუმის თესლის მომზადების და სხვათა შესახებ.

⁂ უკანასკნელ კრებაზედ ქალაქის გამგეობამ განიხილა ვეტცელის ქუჩის სახლის პატრონების თხოვნა, ამ ქუჩის მოკირწყვლის შესახებ. სახლის პატრონთ კანგა ხანია ქალაქის კასსაში ამ საქმისათვის ფული შეიტანეს. გამგეობამ გარდასწყვიტა დაუყოვნებლივ შეუდგეს ამ ქუჩის მოკირწყვლას.

შემდეგ გამგეობამ მოისმინა ქალაქის ტეხნიკოსის მუხარინსკის წინადადება ქალაქის წყლის მილის სახელოსნოსათვის საკუთარის შენობის აგების შესახებ. გამგეობამ დაადგინა ამ საგნის შესახებ ცალკე მოხსენება წარუდგინოს ქალაქის საბჭოს.

⁂ კვირას, 11 ოქტომბერს, კავკასიის სამეურნეო საზოგადოების სადგომში მოხდება წევრთა საზოგადო კრება იმ კომისიისა, რომელიც ტფილისში სახალხო კითხვებსა ჰმართავს.

⁂ ადგილობრივის რუსულის გაზეთების სიტყვით ქართლ-კახეთ-იმერეთის სინოდის კანტორამ შუამდგომლობა აღძრა უწმ. სინოდის წინაშე იმის შესახებ, რომ მოემატოს შტატები როგორც ხსენებულ კანტორასა, ისე საქართველოს ექსარხოსის კანცელარიას. შუამდგომლობაში ნათქვამია, რომ კანტორასა და კანცელარიას უკანასკნელ დროს საქმეები მოემატა და აწ არსებული შტატები ვერ ასდიან ამ საქმეებსაო.

⁂ კავკასიის საფილოქსერო კომიტეტს აზრადა აქვს, მიწად-მოქმედების მინისტრის ნება-რთვით, გააფართოვოს ქორეისუბანის სანერგე ამერიკულის ვაზისა. ამ სანერგეს დღემდის 17 დესეტინა მიწა ეჭირა, უნდა მოუმატონ კიდევ 25 დესეტინა.

⁂ მთავრობამ ნება დართო, რომ გადადებულ იქმნას 70 ათასი მანეთი თიონეთ-ახმეტის გზა-ტკეცილის შესაკეთებლად სადგურ თიონეთიდგან სად. ჟინვალამდე. ამ ფულიდგან 50 ათასი მანეთი მოჰხმარდება სადარაჯოების, ხიდების, ბოგირების და სხვ. გაკეთებას, ხოლო 20 ათასი მანეთი თვით გზა-ტკეცილის შეკეთებას.

⁂ მიწათ-მოქმედების და სახელმწიფო ქონებათა სამინისტრომ ნება დართო, რომ ბაქოს გუბერნიის ქ. ყუბაში დაარსებულ იქმნას მე-2 ხარისხის საბაღოსნო სასწავლებელი. ხაზინიდგან ამ სასწავლებელს წელიწადში 2,500 მანეთი მიეცემა.

⁂ მღვდელმა მამა სტეფანე ბერიძემ შემოუერთა მართლ-მადიდებლობას დაღესტანის ოლქის მცხოვრებელი მაჰმადიანი ვალი-ალა-მამედოღლი.

⁂ შვეციელ ერთს ამხანაგობას აზრადა აქვს სოხუმის მახლობლად გააშენოს „პრობკის“ ხე, ხოლო შემდეგ გაჰმართოს იქ ქარხანა. ამ გვარი ქარხანა პირველი იქმნება რუსეთში.

⁂ ბაქოდგან სწერენ გაზ. „ტფ. ფურ“-ს, რომ უცხო ქვეყნელ კაპიტალისტებს მოლაპარაკება აქვთ ამ ჟამად თავ. გ. ი. ამილახვართან, რომლისაგანაც უნდათ იყიდონ ბალახანაში, იმ ადგილას, სადაც ნავთის წარმოებაა, 5 დესეტინა მიწაო. თავადს ამ ადგილში 1,900,000 მანეთი შეაძლიესო, ხოლო ადგილობრივის ნავთის მწარმოებელნი სთხოვენ თავად ამილახვარს ეგ ხუთი დესეტინა მიწა ჩვენ მოგვეცით იჯარით წელიწადში 200,000 მანეთადაო. ამ 200,000 მანეთ გარდა ნავთის-მწარმოებელნი თავადს შეძენილ ნავთის $^1/_8$-ს ჰპირდებიან.

⁂ გაზ. „ახ. მიმ.“-ას სწერენ ბათუმიდგან, რომ, როგორც შევიტყეთ, კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველმა შუამდგომლობა აღძრა კავკასიის უმაღლესს მთავრობის წინაშე იმის შესახებ, რომ დაეთმოს ზღვის ნაპირას მდებარე მიწა ბათუმის გიმნაზიას საკუთარის შენობის ასაგებადაო. ეს ადგილი თუმცა ამ 20 წლის წინად სამხედრო უწყებას დაეთმო, მაგრამ დღემდის იგი თავისუფალიაო.

⁂ გაზ. „კავკასს“ დეპეშით ატყობინებენ ბაქოდგან: „დღეს, 8 ოქტომბერს, საქართველოს ექსარხოსმა მაღალ ყოვლად უსამღვდელოესმა ფლაბიანემ აკურთხა მართმადიდებელთა ახალი ტაძარი. სადილზედ, რომელიც ტაძრის კურთხევის შემდეგ გამართულ იქმნა ექსარხოსის პატივსაცემად, ცნობილმა ბაქოელმა ქველმოქმედმა ზეინალ-აბდინ თაგიევმა, მართლ-მადიდებელთა ეკკლესიის კურთხევისა და ექსარხოსის ბაქოში მობრძანების ნიშნად, შესწირა 10,000 მანეთი: 3,000 მან. საეკკლესიო-სამრევლო სკოლას და 7,000 მან.—ბაქოს მაზრის პირველ-დაწყებითი სკოლებს.

⁂ „კავკასს“ სწერენ ქუთაისიდგან, რომ ადგილობრივ ადმინისტრაციის მიერ აღძრული შუამდგომლობა იმის შესახებ, რომ სოფ. ჯიხაისის მცხოვრებელი აზნ. კასიდ დადიძე განდევნილ იქმნას ქუთაისის გუბერნიიდგან, კავკასიის უმაღლესმა მთავრობამ შეიწყნარაო.

⁂ იმავე გაზეთს დეპეშით ატყობინებენ ქუთაისიდგან, რომ 8 ოქტომბერს, დილის 10 საათზედ, გზის ხელოსანმა რეზნიჩენკომ უცაბედად მოჰკლა მუშაობის დროს მუშა აზნ. ნეფსაძეო.

⁂ ქალაქის გამგეობის ანგარიშიდგან სჩანს, რომ ღამის თავშესაფარში მომეტებული ხალხი მისულა 22,23,24 და 25 სექტემბერს; იმავე თვის პირველს რიცხვებში-კი შედარებით უფრო ცოტა ყოფილა. მთელის თვის განმავლობაში სულ 2635 კაცს გაუთევია ღამე; ამათშორის 2223 კაცი ყოფილა და 432 ქალ. ამათგან რუსები ყოფილან—მამაკაცები 1028, ქალები—79, სომხები—მამაკაცები 832, ქალები 352; ქართველები—მამაკაცები 280, ქალები 51; სპარსელები—მამაკაცები 26; გერმანელები—მამაკაცები 14 და სხვა ეროვნებისანი—34. ამათშორის სნეული ყოფილა 31 მამაკაცი და 5 დედაკაცი. თავ-შეფარებულთა შორის ყოფილან: უბრალო მუშა—მამაკაცი 87, ქალი 14; მხატვარი 1; ზეინკალი 2., ასოთ ამწყობი 3., ხარაზი 1., მზარეული 4; ხელზედ მოსამსახურე 3; მოსამსახურე დედაკაცი 4; მოხუცებულების გამო მუშაობის არ შემძლე 27 მამაკაცი და 14 დედაკაცი, დაშავების გამო მუშაობის არ შემძლე 4 მამაკაცი და 3 დედაკაცი; მასწავლებელი 2; მოსწავლე 4; ადამწერელი 5, დუმელების გამკეთებელი 1; წიგნების ყდის გამკეთებელი 1; დურგალი 1. თავშეფარებულებისათვის დახარჯულა მთელის თვის განმავლობაში (პურისა და ჩაიშაქრისთვის) 102 მან. 12 კაპ. და თავშესაფარის ხარჯი 3 მ. 50 კაპ.

⁂ 3 ოქტომბერს, ცნობილს ანტრეპრენიორსა და არტისტს ვ. ლ. ფორკატის პეტერბურგის ერთს თეატრში უთამაშნია „კრეჩინსკის ქორწილის“ კომედიაში. ფორკატის ამ პიესის უმთავრესი, კრეჩინსკის, როლი შეუსრულებია. სატახტო ქალაქის გაზეთები ძალიან აქებენ ფორკატის თამაშს და ამბობენ, რომ კრეჩინსკის როლში ფორკატის რუსეთის არტისტთა შორის ბადალი არა ჰყავსო.

◆

ორიოდე სიტყვა თავ. გ. ა. თარხან-მოურავის მიცვალების შესახებ

დღეს, 10 ოქტომბერს, მიაბარებენ მიწას სოფ. ერთაწმინდაში 2 ოქტომბერს გარდაცვალებულის, ახალ-ქალაქის მაზრის უფროსის თავ. გრიგოლ ალექსანდრეს ძის თარხან-მოურავის გვამს. ახალქალაქის მაზრა დიდად ჰგლოვობს, რადგან მან თავისი ძალ-ღონე ამ მაზრის კეთილ-დღეობის ზრუნვას შეალია. ოცი წელიწადი სრულდება, რაც განსვენებული ჯერ ახალციხე-ახალქალაქის მომრიგებელ-შუამავლად იყო და შემდეგ ახალქალაქის მაზრის უფროსად. ზედ-მიწევნით ჰქონდა გაცნობილი მაზრის საჭიროება ნაკლულევანებანი. მიიცვალა 58 წლისა, სრულიად მოულოდნელად 2 ოქტომბერს, დილის 5 საათზედ, სოფ. ბარალეთში, სადაც იგი მივიდა 30 სექტემბერს იქაურ მკვიდრთა შორის მიწა-წყალის სამართლიანად გაყოფა-განაწილებისა და ამავე სოფლის სასწავლებელთან საქსოვ-სახელოსნოს დაარსების შესახებ.

ბარალეთი ერთს მთავარ საზრუნველო საგანს შეადგენდა განსვენებულის თავადისას. მისის მეცადინეობით დაარსდა აქ ქსენონი; გადაკეთდა ერთ-კლასიანი სასწავლებელი ორ-კლასიანად; დაარსდა 1895 წ. უფასო სახალხო სამკითხველო, რომლის საპატიო წევრად და თავმჯდომარედ განსვენებული იყო და სხ.

განსვენებულმა თავისს სიცოცხლეში დიდად ხელი შეუწყო ახალქალაქის სამოქალაქო სასწავლებელთან სამეურნეო და სახელოსნო განყოფილებათა დაარსებას. მისის რჩევით მაზრის ყველა გლეხი იხდის წელიწადში ორ აბაზს ხსენებულს სასწავლებელში თითოეულ საზოგადოებიდგან თითო ღარიბ მოსწავლის შესანახად. მანვე წამოაყენა ფეხზედ და მკვიდრს ნიადაგზედ დააყენა წინათ დაცემული ხერთვისის სასწავლებელი და სხ.

თავადი გრიგოლი სხვა მრავალ კეთილ საქმის გაკეთებას იყო განზრახული, მაგრამ ულმობელმა სიკვდილმა აღარ დააცადა.

განსვენებულს ექიმები ურჩევდნენ უფრო მყუდრო და დამშვიდებულს ცხოვრებას, უკრძალავდნენ ხშირად სიარულს, მაგრამ იგი თავისას მაინც არ იშლიდა და მუდამ მზად იყო, სადაც საჭიროება მოითხოვდა დაუყოვნებლივ წასულიყო. სწორედ ამ დაუცხრომელმა შრომამ მოუღო ბოლო პატიოსანს მოღვაწეს.

გეორგი 30 წამს შესცქეროდა დასახიჩრებულს ქანდაკებას, თავ-ზარდაცემული, ხმა-გაკმენდილი, მერე ძირს დაეცა და ჰმანვა-გრეხით დაიწყო იატაკზე კოტრიალი.

ჯონი მალე დაბრუნდა ეტლით, ჩააწყო შიგ გულ-გატეხილის სკულპტორის გვამი და ფეხ-მოტეხილი ქანდაკება და ორთავენი შინ წაიღო, თანაც უშტვენდა არხეინად. სკულპტორი თავის სახლში დასტოვა და თითონ-კი ფეხ-მოტეხილ ამერიკიანად Via Quirinalis-ს გზას დაადგა.

კარი მეოთხე.

(გეორგის სახელოსნო)

— დღეს ორ საათზედ სწორედ ექვსი თვე შესრულდება! ოჰ, ჯოჯოხეთის ტანჯვავ, წამებავ! დასრულდა ჩემი სიცოცხლე! განქრა იმედი! ამ გვარს სიცოცხლეს სიკვდილი სჯობია! წუხელი არ მივახშმია, დღეს დილით ჩემს პირს ნაწილი არ უნახავს... ჯიბეში გახვრეტილი გროშიც არ მომეძებნება... მშიერი ვარ ეხლა? ნურაფერს მკითხავთ, ნუ გამახსენებთ!.. მეწაღემ დამტანჯა, სიკვდილის პირას მიმაგდო, თერძი კისერზე დამაჯდა, სახლის პატრონი სახლიდგან მითხოვს, მითხოვს კი არა, მაგდებს!.. შეუბედურო, ჩემო თავო! ჯონი იმ საზარელ დღის შემდეგ აღარ მინახავს! მარო ალერსიანად მიცინის ხოლმე, ქუჩაში რომ შემხვდება, მაგრამ უგულო მამა უბრძანებს, იქით მიიხედეო... ეი, ვინ არახუნებს კარსა? ვინ მოვიდა კიდევ ჩემს სატანჯველად? ეს უთუოდ ის ოხერი მეწაღე უნდა იყოს... მობრძანდით!

— ვახლავარ თქვენს ბრწყინვალებას! და მოგანიჭოთ თვისი მადლი მაღალმა ზეცამ! მაქვს პატივი მოგართვათ თქვენი ახალი წაღები,—ო, ფულს ნუ გამიხსენებთ, თქვენო ბრწყინვალებავ! ფული სრულებით არ მეჩქარება! ჩემს ბედნიერებას და სიამაყეს საზღვარი არ ექნება, თუ კვლავაც მე შემაკერინებთ წაღებს და...

მშვიდობით ბრძანდებოდეთ, თქვენო ბრწყინვალებავ!

— რაო? თითონ მომიტანა წაღები! ფული არ მეჩქარებაო, სრულებით არ მეჩქარებაო! თავს იხრის, წელს იმტვრევს და ისე ზრდილობიანად მელაპარაკება, თითქოს მეწაღე კი არა, სასახლის ჯარის კაცი იყოს, ხოლო მე—უავგუსტოესი გვამი! კიდევ შემაკერინეთო! ან იქმნება დადგა წამი მეორედ მოსვლისა? ვინ არის კიდევ, მობრძანდით!

— ნუ შემრისხავთ, ბატონო,—ახალი ტანთ-საცმელი მოგართვით და...

— ეი, ვინ არის კიდევ? მობრძანდით!

— ბოდიშს ვიხდი შეწუხებისათვის, თქვენო ბრწყინვალებავ! ქვემო სართულში ჩინებულად მოგიწყეთ ოთახები,—ეს სადგური თქვენი საკადრისი არ გახლავთ და...

— მობრძანდით!

— მე გიახელით მოგახსენოთ, თქვენო ბრწყინვალებავ, რომ თუმცა ბოლო დროს, ჩვენდა სამწუხაროდ და სავალალოდ, შესაფერი ნდობა ვერ გამოგიცხადეთ ჩვენს ბანკში, მაგრამ დიდს ბოდიშს ვიხდი, უმორჩილესადა გთხოვთ დარწმუნებულნი ბრძანდებოდეთ, რომ ჩვენი ბანკი სრულიად, სავსებით და განუსაზღვრელად გენდობათ და ბედნიერად ჩავსთვლით ჩვენს თავს, თუ ინებებთ და გვიბრძანებთ როდისმე მოგართვათ სესხად ფული რამდენსაც ინებებთ და გვიბრძანებთ...

— მობრძანდით!

— კეთილშობილო და პატიოსანო ჭაბუკო! წაიყვანე! ამ წუთას თითონაც აქ გაჩნდება! წაიყვანე, შეირთე, შეიყვარე და იყავ ბედნიერი! უფალმა ღმერთმა დაგლოცოსთ და გაკურთხოსთ ორთავენი. გიპ, გიპ, ბრავო, ურა, ვაშა!

— მობრძანდით!

— ოჰ, გეორგ, ჩემო სიცოცხლევ, ჩემო ნეტარებავ! ჩვენ ბედნიერნი ვართ!

— ოჰ, მარო, ჩემო სიცოცხლევ, ჩემო ნეტარებავ! ჩვენ ბედნიერნი ვართ! მაგრამ ღმერთმა დამწყევლოს, თუ ვიცოდე: რადა და როგორ!

კარი მეხუთე.

(რომის ერთი ყავახანა)

ერთი ამერიკელი ჰკითხულობს ხმა მაღლა გაზეთს და უთარგმნის იქვე მყოფ ამერიკელებს: „il Slaugehauger di Roma“.

— საოცარი ამბავი! ასე, ექვსის თვის წინად ამერიკელმა ჯონ სმიტმა, რომელიც რამდენიმე წელიწადია რომში სცხოვრობს, იყიდა კნეინა ბორგეზეს ერთის გაკოტრებულის ნათესავისაგან პატარა ადგილი კამპანიაში. ეს ადგილი სციპიონთა გვარეულობის აკლდამის გვერდზე მდებარეობს. შემდეგ ბატონმა სმიტმა სთხოვა მინისტრს, მე მსურს ეს ადგილი დავუმტკიცო ერთს ღარიბს სკულპტორს გეორგ არნოლდსაო და თან დასძინა, ამ საჩუქრით მსურს ცოტათი მაინც უზღო ის ზარალი, რომელიც რამდენისამე ხნის წინად მივაყენე არნოლდსაო; ამას დასძინა, რომ მსურს ეს ადგილი კარგად შევამუშაო, რომ ჩემს საჩუქარს უფრო მეტი ფასი ჰქონდესო. ამ ოთხის კვირის წინად სენიორი სმიტი, მუშაობის დროს წააწყდა ძველთაგან ძველს ქანდაკებას, რომლის მსგავსი ჯერ დედამიწის ზურგზედ არა ყოფილა,

დილის რვა საათამდის ბარალეთის სამკითხველოსთან აუარებელი ხალხი მოგროვდა, სადაც თავადი გარდაიცვალა. ყველა სტიროდა თავადის გრიგოლის დაკარგვას, რომლის ცხოვრების საგანს შეადგენდა „ბეჩავის ხალხის სიკეთე და ბედნიერება“, ეროვნების განურჩევლად.

3 ამ თვეს, დილის 10 საათზედ, ბარალეთის ეკკლესიის მღვდელმა პანაშვიდი გარდაიხადა განსვენებულის სულის მოსახსენებლად, რომლის შემდეგ ბ-ნმა მიქელაძემ შესაფერი სიტყვა წარმოსთქვა და მსმენელთ დაუსურათხატა განსვენებულის ღვაწლი და კეთილი კაცობა. ამის შემდეგ ცხედარი ახალქალაქში წაასვენეს, რომელიც დიდძალმა ხალხმა გააცილა. სოფ. კოტელიასთან კუბო დაასვენეს. მაშინვე სამგლოვიარო ზარმა დაჰკრა და მთელი სოფელი, რომელსაც იქაური მემამულე ბ-ნი ბერიძე მოუძღოდა წინ, მიცვალებულს მიეგება; დიდი და პატარა კუბოს ეამბორა. ამის შემდეგ ბ-ნმა კოპტანაშვილმა მოკლე, მაგრამ გრძნობით აღსავსე სიტყვა წარმოსთქვა, რომელმაც მრავალი ცრემლი დააღვრევინა მსმენელთ. სოფელს არაგვაში, სადაც სომხები სახლობენ, ხალხი ასეთისავე პატივის ცემით მიეგება ცხედარს, იქ სომხის მღვდელმა პანაშვიდიც გარდაუხადა. აქვე მოეგებნენ მიცვალებულს ახალქალაქიდგან მისი თანამოსამსახურე-მეგობარნი: თ-დი მაჩაბელი, ბ-ნი ყიფიანი, ლაფეროვი და ს. ხოსპიის ბეგნი—ფალავანდიშვილები. ნაშუადღევის სამ საათზედ ცხედარი ახალქალაქში მიასვენეს, რომლის განაპირას განსვენებულის ცხედარს დაუხვდა ადგილობრივი პოლიცია, ქალაქის წარმომადგენელნი, მრავალი პატივის მცემელი და სხვ. აქვე ახალქალაქის მღვდელმა მ. ი. ჩიტაძემ, ს. ქილდის მღვდლის მ. მეტრეველის და კრებულ-მგალობლებითურთ, მცირე პანაშვიდი გარდაიხადა. აუარებელი ხალხი მოასკდა ამ ადგილს.

ახალქალაქმა ღირსეული პატივისცა თავისის უფროსის ცხედარს: მთელი დუქან ბაზარი დაკეტილი იყო; ხალხი მოზღვავდა კუბოს გარშემო, რომელიც განსვენებულის სადგომამდე მან ხელით მიასვენა, აქ კვლავ მართლმადიდებელ და სომეხ გრიგორიანთა სამღვდელოებამ პანაშვიდი გარდაიხადეს განსვენებულის სულის მოსახსენებლად.

განსვენებულის ნათესავთაგან ჯერ არავინ მოსულა, მაგრამ დღე-დღეზედ მოელიან. განსვენებულის გვამს გორის მაზრის ს. ახალქალაქში წაასვენებენ, საგვარეულო სასაფლაოზედ დასაკრძალავად *).

ალ. მი—ძე

წერილი ოსეთიდგან

სექტემბერმა თითქმის ზაფხულის მაგიერობა გაგვიწია, ისეთი მშვენიერი დარები იყო, მაგრამ 8 ოქტომბრის დადგომისთანავე ტაროსი უცებ შეიცვალა; წვიმები დაიწყო, აცივდა და თოვლიც მოვიდა აქა-იქ. ზამთრის ასე ადრე მოახლოვებამ ძლიერ შეაშინა მთის ოსები—როგორ გამოვკვებოთ საქონელი ხანგრძლივ ზამთრის განმავლობაშიო. ბარის ოსებიც დაალონა ცუდმა ამინდმა. სიმინდის მტვრევა ჯერ აქ არც კი დაუწყიათ; ბევრგან არც არის სიმინდი შემოსული და სიცივემ თუ დიდ ხანს გასტანა და ზედ კიდევ თოვლიც დაემატა, თქვენი მტერი, ხალხი დიდს გაჭირვებაში ჩასცვივდეს.

23 სექტემბერს სოფ. ბირალ-ზანგელ (კავკავის მაზრაშია) ორ ძმას პური გაელეწათ სოფ. ყადგარონში და ორის დატვირთულ ურმით შინ დაბრუნებულიყვნენ. სოფ. ნოგყაუს გაშორებიან თუ არა, მაშინვე შემოჰლამებიათ. ძმებს ორი პატარა ყმაწვილიც ჰხლებიათ თან. მგზავრებს ვერც-კი შეუნიშნავთ, ექვსი ცხენოსანი კაცი ისე გადაჰლობებიათ გზაში და წინა ურმის ხარების გამოხსნა დაუწყიათ. ურმის პატრონს შეუყვირია—ვინა ხარ, ხარებს რათ უშვებო?! მაგრამ ავაზაკებს თავისი არ დაუშლიათ, მაშინ მეურმეს გადმოუღია თოფი და დაუცემინებია, მაგრამ თოფი არ გავარდნილა? ამით უსარგებლნიათ ავაზაკებს და მეურმეებისათვის თოფები დაუშენიათ. ერთი მეურმე მაშინვე მომკვდარიყო, ხოლო მეორეს მეორე დღემდე ეცოცხლა და ქურდების მდევართათვის ეთქვა, რომ ნოგყაველებმა დაგვხოცესო. კვალი მართლაც იქ მიიტანეს, მაგრამ ბოროტ-მოქმედნი ჯერ არ აღმოუჩენიათ.—ხარების წაყვანა ვერ მოეხერხებინათ ავაზაკებს და იქვე დაეტოვებინათ. პატარა ბავშვები სიმინდში შეცვივნულიყვნენ დასამალად.

ოქტომბერშივე ბალთის სადგურიდგან კავკავისაკენ მიმავალ ორს ეტლზედ უკან დაკრული ბარგი ააჭრეს ქურდებმა. ბარგის ცალიერი ბოხჩები მეორე დღეს იპოვნეს კავკავის მახლობლად, ხოლო ბარგი-კი, როგორც ამბობენ, ოთხმოც თუმნად ღირებული, ჯერაც არ უპოვნიათ.

ამ გზაზედ ექვსი ცხენოსანი კაცია დაყენებული, რომელთაც გზაში უნდა იარონ და მგზავრების მშვიდობიანად მიმოსვლას თვალ-ყური ადევნონ. დარაჯთ მხოლოდ მაშინ გაუგიათ ეტლებიდგან ბარგის მოპარვა, როცა ბალთის მამასახლისი ბ-ნი კუნდუხოვი მისულა იმათს ბინაზედ და დაუღვიძებია ისინი.

ქართველი ოსებში

რუსეთი

გაზ. „Рус. Листокъ“-ის პეტერბურგელი კორესპონდენტი სწერს: „დღეს პეტერბურგის სალაპარაკოს პეტერბურგის მიტროპოლიტის პალლადის ავადმყოფობა შეადგენს. მისის მაღალ ყოვლად-უსამღვდელოესობის მორჩენის იმედი მკურნალებს აღარა აქვთ. ალექსანდრე-ნევის ლავრაში ყოველდღე მრავალი წარჩინებული კაცი მოდის, მაგრამ ავადმყოფთან აღარავის აღარ უშვებენ, თვით მათი მეუფებაც ვეღარავის ვეღარა სცნობს.

პეტერბურგში მოელოდებიან ფინლიანდიის მთავარ-ეპისკოპოსს ანტონის. კარგა ხანია, რაც მიტროპოლიტის პალლადის მოადგილედ მთავარ-ეპისკოპოსს ანტონის ასახელებენ. მთავარ-ეპისკოპოსი შედარებით ახალგაზრდაა. იგი ჯან-მრთელი, დიდად განათლებული და ნიჭიერი კაცია. მთავარ-ეპისკოპოსმა ანტონმა იცის უცხო ენები და საზღვარ-გარეთაც ხშირად უმოგზაურია. პეტერბურგის სამიტროპოლიტო კათედრისათვის სწორედ ასეთი კაცია საჭირო“.

— სასულიერო უწყებაში ლაპარაკია აღძრული იმის შესახებ, რომ რაიმე ღონე იქმნას მიღებული სამრევლო საეკკლესიო სკოლების იმ მასწავლებელთა წინააღმდეგ, რომელნიც ხშირად გადადიან ერთის ადგილიდგან მეორეზედ და ცოტა ხნის სამსახურის შემდეგ თავს ანებებენ მასწავლებლობას.

— მიწათ-მოქმედების და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს აზრადა აქვს რუსეთის იმპერიის სხვა-და-სხვა ადგილებში სოფლის მცხოვრებთათვის გაჰმართოს ხოლმე დრო გამოშვებით სასოფლო-სამეურნეო ნაწარმოებთა გამოფენები.

— შინაგან საქმეთა სასინისტროს და გზათა სამინისტროს შორის ამ ჟამად მიწერ-მოწერაა იმის შესახებ, რომ საელექტრო-ტეხნიკო ინსტიტუტი უმაღლეს სასწავლებლად იქმნას გადაკეთებული და იქ სწავლა დასრულებულთ ინჟინერის ხარისხი მიენიჭოთ. ამ საგნის შესახებ მოლაპარაკების დროს გზათა სამინისტროს წარმომადგენელად დანიშნული იქმნება ინჟინერი გერსევანოვი.

— გზათა სამინისტროში ლაპარაკია აღძრული იმის შესახებ, რომ რკინის გზის სადგურებთან არსებული ერთ-კლასიანი პირველ-დაწყებითი სკოლები რკინის გზაზედ მოსამსახურეთა შვილებისათვის გადაკეთებულ იქმნას ორ-კლასიანად.

— „ებრაელთა შორის სწავლა-განათლების გამავრცელებელ საზოგადოების“ კომიტეტმა, სატახტო ქალაქის გაზეთების სიტყვით, შუამდგომლობა აღძრა მთავრობის წინაშე იმის შესახებ, რომ დაარსებულ იქმნას სალვთის-მეტყველო ინსტიტუტი ებრაელთათვის. ამ ინსტიტუტში მოამზადებენ ებრაელთა რაბინებს, მქადაგებლებს და მასწავლებლებს.

უცხოეთი

ინგლისი. ინგლისის სამინისტროს წევრს ედუარდ კლერკს კონსერვატორთა კრებაზედ გრძელი სიტყვა წარმოუთქვამს რუსეთის წინადადების შესახებ, რომელსაც აზრად აქვს ჯარის გაძლიერებას საზღვარი დაუდოს. კლერკს ცალკე მხრივ განუხილავს და დიდი ქება-დიდებით მოუხსენიებია რუსეთის იმპერატორის მიერ დაწყებული საქმე. ამ საგნის განსახილველად კონფერენციის მოწვევის უარი ვერც ერთმა სახელმწიფომ ვერ გაჰბედაო, სთქვა კლერკმა და თან დასძინა, რომ კონფერენციაზედ დასასწრებლად ინგლისი ძლიერ დახელოვნებულს სახელმწიფო მოღვაწეს გაჰგზავნისო.

„სრულიად თოფ-იარაღის დაყრაზედ რომ ვიფიქროთ, ეს ოცნება იქმნებოდაო, განაგრძო ორატორმა, მაგრამ სახელმწიფოთა არაფერი არ აბრკოლებს ჯარის გაძლიერებას თავი დაანებოს. იქნებ მოუხერხებელი იყვეს სამუდამოდ მშვიდობიანობის დამყარება, მაგრამ შესაძლო კია ხალხთა შორის მომეტებული თანხმობა ჩამოვარდესო“.

—

ავსტრია. ანარქისტების წინააღმდეგ ღონისძიებათა შესამუშავებელს კონფერენციას, როგორც გაზეთები ამბობენ, ავსტრია შემდეგს მოსაზრებას წარუდგენს:

1) სრულებით აკრძალულ იქმნას ანარქისტთა ყოველგვარი ჟურნალ-გაზეთი და სხვა გამოცემანი, რომლებშიდაც, ცოტათი მაინც არის, ანარქიული სწავლა-მოძღვრება იქმნება გატარებული; 2) საზღვარ-გარეთ მყოფი ანარქისტები იმ სახელმწიფოში უნდა გაჰგზავნონ, რომლის ქვეშევრდომნიც ისინი არიან; 3) ის ანარქისტები, რომელთაც ბოროტ მოქმედება ჩაიდინეს, ანუ განზრახული ჰქონდათ იგი, მსწრაფლ სამხედრო სასამართლომ უნდა გაასამართლოს.

—

საფრანგეთი. საფრანგეთის ახალშენთა მინისტრად ნამყოფს ეტიენს გრძელი წერილი დაუბეჭდავს გაზ. „Liberte“-ში, რომელშიდაც იგი ამტკიცებს, რომ ფაშოდა საფრანგეთს ეკუთვნისო. იმ ადგილის დაჭერას, რომელიც დაგომეის უკავშირებს ნილოს ნაპირს და საფრანგეთის სუდანს, ჩვენ დიდძალი ხალხი და ფული შევსწირეთო, ამბობს იგი.

ნუ თუ ყოველთვის ჩვენ სხვებს უნდა დავუთმოთ ჩვენი საკუთრება; ნუ

ქანდაკება წარმოადგენს შესანიშნავის სილამაზის ქალს. ქანდაკებას აკლია ცხვირი, მარცხენა ფეხი მუხლს ქვემოდგანა, ყური და ორი თითი მარჯვენა ხელისა. სხვაფრივ ქანდაკება ყოვლად მშვენიერს სანახავს წარმოადგენს. პაპის მთავრობამ დააყენა სამხედრო დარაჯები, რომელთაც უნდა უყარაულონ ქანდაკებას და დაუყოვნებლივ ამოირჩია კომისია კრიტიკოსთა, არქეოლოგთა და კარდინალებისაგან შემდგარი. კომისიას მიენდო დაფასება ამ შესანიშნავის ქანდაკებისა და აგრეთვე იმის გარდაწყვეტა, რამდენი ფული უნდა მიეცეს იმ ადგილის პატრონს, რომელშიაც იპოვნეს ეს ძვირფასი საუნჯე. გუშინდელ დღემდე ეს საქმე საიდუმლოდ სწარმოებდა. კომისიის კრებას გარეშე კაცი არავინ დასწრებია. გუშინ საღამოთი კომისიამ გადასწყვიტა, რომ ეს ქანდაკება ვენერასი არის, ეკუთვნის მესამე საუკუნეს ქრისტეს დაბადებამდე და გაკეთებულია ჯერ უცნობის, მაგრამ უეჭველად დიდის გენიოსის სკულპტორის მიერ. კომისიის აზრით, ამ ქანდაკებაზე მშვენიერი და შესანიშნავი რამ ჯერ ქვეყნიერებას არა უნახავს რა. შუაღამისას მოხდა უკანასკნელი კრება კომისიისა, რომელმაც ვენერას ქანდაკება დააფასა 10 მილიონ ფრანკად! რადგანაც რომის კანონმდებლობის ძალით მთავრობას ეკუთვნის მხოლოდ ნახევარი ფასი კამპანიასა და სხვა ადგილებში აღმოჩენილ ხელოვნების ნაშთთა, ამიტომ მთავრობამ უნდა მისცეს ბ-ნ გეორგ არნოლდს მხოლოდ 5 მილიონი ფრანკი და ამ მცირე ფასად შეიძენს შესანიშნავს ქანდაკებას. დღეს დილით ვენერას ქანდაკებას. გადიტანენ კაპიტოლიის სასახლეში, შუადღისას საგანგებო კომისია მივა ბ-ნ არნოლდთან და ჩააბარებს მისის უწმიდესობის რომის პაპის მოწმობას, რომლითაც ბ-ნს არნოლდს სახელმწიფო ხაზინიდგან მისცემენ 5 მილიონს ფრანკს ოქროთი.

ყველანი ერთხმად. აი, ბედიც მაგასა ჰქვიან!

ერთი კაცი. ბატონებო! გთხოვთ, ვისაცა გსურთ, გამოსთქვათ თქვენი აზრი შემდეგის ჩემის წინადადების შესახებ: დაუყოვნებლივ დავაარსოთ ამერიკაში სააქციონერო საზოგადოება, რომელიც შეისყიდის აქ ადგილებს და დაიწყებს ხელოვნების ძველ ნაშთთა ძიებას. საზოგადოებას ექმნება თავისი აგენტურა ქ. ნიუ-იორკში, ციხის ქუჩაზე. აგენტურა დიდძალს ფულს მოიგებს აქციების ყიდვა-გაყიდვით.

ყველანი. წინადადება შეწყნარებულია!

გარი მეექსე

(კაპიტოლიის სასახლე რომში)

(ათის წლის შემდეგ)

— საყვარელო მარო,—აი ეს სახელოვანი ქანდაკება, უმშვენიერესი ვენერა კაპიტოლიისა. რა ამაყადა სდგას ეხლა აქ ეს ქანდაკება, მცირეოდნათ შეკეთებული რომის სახელოვან სკულპტორთა მიერ. თვით ის გარემოება, რომ ნება მისცეს ამ ქანდაკების შეკეთებისა, საკმარისია, რომ საუკუნო სახელი მოუხვეჭოს ამ სკულპტორებს. ვერ წარმოიდგენ, რა უცნაურად მეჩვენება ეს ადგილი. ათის წლის წინად, როდესაც უკანასკნელად ვიდექი აქ, ღარიბი ვიყავი. დიახ, ჯიბეში ერთი გროში არა მქონდა. მართალია, მეც ბევრი ვიშრომე, ვიდრე რომი ამ შესანიშნავის საუნჯის პატრონად გახდებოდა.— მაღალ-ყოვლად პატივცემული, სახელოვანი ვენარა კაპიტოლიისა! როგორ დააფასეს? მგონია, ათ მილიონ ფრანკად!..

— ჰო, ეხლა ღირს მაგ ფასად!

— ოჰ, ჩემო გეორგ, რა მშვენიერი ქანდაკებაა!

— რაღა თქმა უნდა! მაგრამ უფრო მშვენიერი იყო, ვიდრე ჯონ სმიტი ფეხს მოსტეხავდა და ცხვირს მოაგდებინებდა! ოჰ, გონიერო, ნიჭიერო, კეთილშობილო გენიოსო ჯონ სმიტო! შენა ხარ ნამდვილი მიზეზი ჩვენის ბედნიერებისა! სსს!..

— იცი, რასა ჰნიშნავს ეგ ხრიალი?

— რა გაუფრთხილებელი ხარ, მარო! ბავშვს ყივანა ხველა აქვს და შენ კი აქ მოათრევ! ნეტა როდის ისწავლი ბავშვის მოვლას?

განმარტება.

კაპიტოლიის ვენერა დღესაც რომის კაპიტოლიის სასახლეში სდგას და სამართლიანად ითვლება შესანიშნავ და უმშვენიერეს ქანდაკებად, რომლითაც მთელი ქვეყანა ამაყობს. და თუ ოდესმე მოგიხდეთ ამ სურათის ნახვა და მისის ხილვით იგრძენით გამოუთქმელი ნეტარება, დაე ეს უტყუარი ამბავი ნუ გააქარწყლებს თქვენს სიამოვნებას. გარნა თუ ოდესმე წაიკითხეთ გაზეთში, რომ სირაკუსსა, ნიუ-იორკსა ანუ სხვაგან სადმე უძველესი ნაშთი აღმოაჩინეს ხელოვნებისაო—ფრთხილად იყავით! და თუ ბარნუმი მოვიდა თქვენთან და გითხრათ, ამდენ მილიონად დაგითმობთ შესანიშნავსა და უძველესს ქანდაკებასაო,—არ იყიდოთ. გაგზავნეთ ისევ.. რომის პაპთან.

ა. ნ—ი

---

*) ბარალეთის ნორმალურ სასწავლებლის ზედამხედველის ბ-ნ ალ. მიქელაძის სიტყვას ადგილის უქონლობისა გამო გაზეთში ვერ ვათავსებთ. რედ.

ეროვნული

თუ მაშინაც კი უკან უნდა დავიხიოთ, როცა უფლებაც და სამართლიანობაც ჩვენსკენ არისო? განაგრძობს ეტიენი. დელკასემ (გარეშე საქმეთა მინისტრი) ეხლა-კი შესაფერი პასუხი გასცა ინგლისს; რა მახეც უნდა დაუგონ, ჩვენი მინისტრი შიგ არ გაებმის. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ჩვენი საქმეები ღირსეული კაცების ხელშია. სამართლიანობა ყოველთვის გაიმარჯვებს, მხოლოდ ხელის შეწყობა ეჭირვება მას.

— ამას წინად მოხსენებული გვქონდა ჩვენ, რომ, როგორც ხმა დადის, საფრანგეთის მთავრობის წინააღმდეგ შეთქმულობაა და ამ შეთქმულობაში სამი გენერალი იღებს მონაწილეობასო.

გაზეთების სიტყვით, ეს გენერლები არიან: ერთი ბუადეფრი, მთავარ შტაბის უფროსად ნამყოფი; მეორე—ცურლინდენი, სამხედრო მინისტრად ნამყოფი და ეხლა პარიჟის სამხედრო გუბერნატორი, რომელიც ყველა მინისტრს ვითომ თავისს მტრად რაცხდეს; მესამე—პელიე, რომელსაც ვითომ იდუმალი მეგობრული კავშირი ჰქონდეს მონარქიელებთან და რესპუბლიკის დამხობას ჰფიქრობდეს მხედრობის სასარგებლოდ.

—

შეერთებული შტატები. პრეზიდენტს მაკ-კინლეის უთქვამს, რომ ესპანიასთან ბრძოლას კარგი შედეგი მოჰყვა ჩვენთვის, მაგრამ ამ გარემოებამ ამასთანავე დიდს მოვალეობაშიაც ჩაგვაგდოო. მაგრამ ამერიკას ჩვეულებად არ აქვს მოვალეობას გაექცეს და იმ ტვირთს არასოდეს არ მოიშორებს, რომლის ტარებას ქვეყნის წინმსვლელობის საქმე თხოულობსო. უკანასკნელ ომის დროს ამერიკამ თავისი მოვალეობა ღირსეულად შეასრულა როგორც ზღვაში, ისე ხმელეთზედ, რითაც თავი მოგვწონსო; მაგრამ ომი კაცთმოყვარეობისათვის ავტეხეთ ჩვენ და ისეთს სამშვიდობო ხელშეკრულებას არ დავდებთ, რომელიც კაცობრიობას კეთილ წარმატების წინააღმდეგი იყოსო. ამერიკის ერი ყოველთვის თავისის სინიდისისამებრ მოქმედებსო.

◆

დამაკვირდი

კეთილი გული მზეა, რადგან იგი არ იცვლება მთვარესავით და ყოველ დღე, წლითი წლამდე ერთ ნაირად აბრწყინვალებს გარემოს.

შექსპირი

• • •

ნუ ფრიად ქსავ, ნურც ყოვლად არ ქსავ: პირველი დაგხსნის, ხოლო მეორე წაგწყმედავს.

ნიკოლოზ ტფილელი

• • •

ადამიანის ბუნება გაუმაძღარია: არ აკმაყოფილებს ის, რაც აქვს, საგანი მისის მისწრაფებისა მხოლოდ იმ დრომდე სასურველი, ვიდრე მიაღწევს; შემდეგ-კი ის საგანი, რომელიც მიღწევამდე უძვირფასესად მიაჩნდა, იმისს თვალში ფასსა ჰკარგავს...

ბ. დ—შვილი

◆

ჟურნალ-გაზეთებიდგან

(ამოკრებილი ამბები)

ესპანიასა და ამერიკის შეერთებულ შტატებ შორის მომხდარმა ომმა კვლავ დაანახვა ქვეყანას ამერიკელ გაზეთების კორესპონდენტების სიმარჯვე. ამერიკის გაზეთები ფულს არ იშურებდენ იმისთვის, რომ ბრძოლის ველიდგან მიეღოთ რაც შეიძლება მალე ახალი ამბები. ნიუ-იორკის ერთი დიდი გაზეთი ყოველ დღე ჰბეჭდავდა ბრძოლის ველიდგან დეპეშებს. თითოეული დეპეშა სულ ცოტა 25,000 სიტყვისაგან შესდგებოდა. გაზეთებს ამ საქმეში დაბრკოლება აღმოუჩნდათ. ესპანიის მთავრობა აპატიმრებდა ყველა საეჭვო დეპეშებს და ამერიკელი კორესპონდენტები ყოველგვარ საშუალებას ხმარობდნენ, რომ როგორმე დეპეშა გადაეცათ. ამ განზრახვით კორესპონდენტებს წინადვე ჰქონდათ მოლაპარაკებული რედაქტორებთან, რა მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს ზოგიერთს სიტყვებს. ვსთქვათ, კორესპონდენტი ასეთს დეპეშას უგზავნის რედაქციას: „რაც შეიძლება მალე გამომიგზავნეთ 500 დოლლარი, თქვენს ბრძანებას ველოდდები“. ესპანელი ცენზორი ამ სიტყვებში არაფერს საწინააღმდეგოს დაინახავს. რედაქციამ-კი კარგად იცის, რომ ეს დეპეშა სრულიად იმას არა ჰნიშნავს—ფული გამომიგზავნეთო, არამედ იმას, რომ ამერიკის ფლოტი პორტო-რიკოში მივიდა და სხვ. ამ გვარად ომის დროს ამერიკის გაზეთები თითქმის ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ, ვინ უფრო მეტს ფულს დახარჯავს და ადრე დაჰბეჭდავს ბრძოლის ველიდგან გამოგზავნილს ახალს დეპეშასაო. რედაქციები ფულს არა ჰზოგავდნენ კორესპონდენტებისათვის, მაგრამ სამაგიეროდ ავალებდნენ, რომ ბრძოლის ველზე ყველაზე წინ ისინი ყოფილიყვნენ. ზოგი კორესპონდენტი ომში იქმნა მოკლული, ზოგი მძიმედ დაიჭრა, მაგრამ ამ გარემოებამ მაინც ხელი ვერ შეუშალა კორესპონდენტებს და ყოველგვარ ღონისძიებასა ჰხმარობდნენ, რომ რაც შეიძლება მალე შეეტყობინებინათ ყოველივე უტყუარი და დაწვრილებული ამბავი რედაქტორებისათვის. გაზეთების რედაქციების სტამბებში დღე და ღამ გამუდმებული მუშაობა იყო გახურებული და ამერიკელმა ასოთ-ამწყობებმა სწორედ რომ თავი ისახელეს. მაგალითად, ნიუ-იორკის ერთმა გაზეთმა დეპეშა მიიღო ბრძოლის ველიდგან. სამს წუთში ეს დეპეშა უკვე დაბეჭდილიყო და გაზეთის ხელის მომწერლებს დაურიგეს.

* * *

ამერიკის გაზეთებში შემდეგი ახირებული ამბავია დაბეჭდილი.

ერთის მდიდარის მემამულეს შვილს ტეხასში შეუყვარდა მექსიკაში მცხოვრებ ესპანელის ლამაზი ქალი. მამამ უარი უთხრა ახალგაზდა ქალს, ჩემს ქალს ვერ მოგათხოვებო და სახლიდგან დაითხოვა. მაგრამ, რადგანაც დაწუნებული სასიძო ქალსაც უყვარდა, ამიტომ თავი არ დაანება და მოხუცის გადიას დახმარებით შეყვარებულნი ერთმანეთს წერილებს უგზავნიდნენ. ბოლოს გადასწყვიტეს როგორმე შეჰყროდნენ ერთმანეთს და ქალის სურვილის მიუხედავად ჯვარი დაეწერათ. მიჰმართეს მოხუცს გადიას და იმან ასე ურჩია: ქალს დიდის ყუთით გავგზავნი საზღვარ-გარედ მახლობელ სადგურზედ, სადაც სასიძო მიიღებს და ჯვარს დაიწერთო. ყველაფერი კარგად იყო მოფიქრებული. ახალგაზდა ქალი ჩაწვა ყუთში და საზღვრამდე მშვიდობიანად მიიყვანეს. საზღვარზედ მდებარე მუშებმა ისე გადააგდეს ყუთი, რომ შიგ მწოლარე ქალს შეეშინდა და დაიკივლა. მუშებმა ეს ამბავი მოახსენეს სადგურის უფროსს. აჰხადეს ყუთს და გაფითრებული ქალი-კი ჰნახეს, დაუძახეს ჟანდარმებს და ქალი ისევ მამასთან გაჰგზავნეს.

რა მოხდა მერე, გაზეთები აღარას სწერენ, მაგრამ ეჭვი არ არის, რომ მკაცრი მამა გამბედავს ქალს ამ საქციელისათვის თვალებში არ აკოცებდა.

◆

გამოსადეგი ცნობა

თუ გნებავთ ან გახეთქილი ხე თუ ფიცარი, ანუ ლიტონი რამ გასიზოთ, აი ეს წამალი უნდა იხმაროთ. აიღეთ დურგლები რომ ხმარობენ ის წებო, გაათბეთ, შიგ ჩააყარეთ გაცრილი ნაცარი და რაც შეიძლება ხშირად უფროეთ. ეს ამისთანა ხიზი უნდა, მანამ თბილია, წაუსვათ გასახიზავს.

◆

სახალხო მასალა

(ხევსურეთში გაგონილი და ჩაწერილი ბაჩანას მიერ)

მამა—ქალები

სამციხელების თოფებმა
ელოს ძირს შამაჰხვივლაო
მიქელი, სურას გაზრდილი,
რადარ ვინ დაიჭირაო:
ქალნი დახოცნა თავისი,
სულეთი წაიხდინაო, [1]
მოძალე ადგა კარზედა,
თავ იმით მაიწყინაო.
დღენიმც ადგიან იმისა;
ვინც მიქელ გაუციანო [2]
ჩვკამა როგორ დალივა თორმეტი თუში გაგნის [3] დაჰხვივნა გორზედა
შავნი ღრუბელნი ცამაო.
წვიმა დაწვიმეს ღრუბელთა,
თოვლი დაჰრია ქარმაო.
თორმეტი თუში დალივა
ერთის ფერდის ზვავმაო.
ბევრმა ჩაბერტყნა ქოჩორნი
ლამაზის ქალის ქმარმაო.
ნეტარ რაი ქმნა დიდომა
უშიშაის ძემ კარმაო?
გაფრინდა, ვერ გაუწივა,
შორით მაუჭრა ზვავმაო.
ჰთქვა: „რად არ მტერმა დაგვლივნა,
ან კაის ვაჟის კმალმაო.
სად ჩამოგვყარნა ტიალმა
ამ ერთმ უდაბურმ მთამაო?“

თუში ლუხუმი დაღესტანში.

გაისთველსხმულა ზაფხულმა [4]
თუშის რომელის ჰირადა?
საბოსლოს არის ლუხუმი,
მარტუა თავის ჰირადა.
და უგულებავ ლუხუმი,
ლეკებს დაუკრავ თვალია.
არქნილა შუაღამეი,
ჩუმად შაუღეს კარია.
შამაუარეს ბოსელსა,
ნაწოლ მოკელეს კარია.
დაასხდენ, ვერ იმაგრებენ
ლუის ლუხუმსა ცხრანია.
მძლივ სადმე დაიმორჩილეს,
ამ ობს: „რა მოშლით ვარიო:
ხანჯარი მაინც მქონიყო
ამესხა სისხლის ცვარიო“.
გამაიყვანეს ლუხუმი,
წინ დაუყენეს ცხვარიო.
ქავთრის მთას ვადასეესა
თუშეთს დასწერა ჯვარიო:
„მშვიდობით, ჩემო თუშეთო,
მომავალ აღარ ვარიო“.
ჩავიდეს დიდოთ სოფელში,
შამაეხვია ჯარიო.
„შენ ხარა ლუის ლუხუმი,
ლეკეთის ნიავლვარიო?“
იყიდა ჰირის პატრონმა, [5]
სულ გაიტანა რვალიო
საფლავზედ შამაკდინეს,
რო ნაკურთხევი კარიო.
ბაგოს ატირდა სოფლადა
ტყვედ ნამყოფ თუშის ქალიო:
„ღმერთო, ნუ მაჰკლავ ლუხუმსა,
გაუკითხენი ბრალნიო;
კელნ გაუხსენით ლუხუმსა,
მემრე მიეცით კმალიო“
— „ნუ სტირი, თუშის გაზრდილო,
ჩემ სიკვდილ არა ბრალიო:
ბევრჯელ უტირენ დედანი,
ცხვარწყემსთ გაუჭერ თავიო“.
ლუხუმის დედას უთხარით,
მთა-წვერთ ნუღარ აქვს თვალიო,
აღარ მოგივა ლუხუმი,
ომალოს მყვირალ კარიო, [6]
მაგრამ მანდ დაჰრჩა ბიძასა
ძმის წული მეომარიო.
ხვედეგმ გაწყვიტნა ჯალაფნი [7],
ცეცხლით მიუღვარა წყალიო,
თავად მშვიდობით წავიდა,
გამაუჯარა კარიო.

---

[1] სამციხელები—ლეკები. ელო—სოფელია თუშეთში. მიქელი—მამაკაცის სახელია. სურა—დედა, გამზრდელ-მშობელი ყოფილა მიქელისა. სულეთი—საიქიო.

[2] ეს ამბავი ასე ყოფილა: მტერი მოსდგომია სოფელს ელოს, შამოჰსევია შიგ. მიქელისთვის მის ქალიშვილებს შეუტირიათ: ნუ დაგვაწბილებინებ, შენი ხელით დაგვხოცე—გვირჩევნიაო. იმასაც აუსრულებია მათი თხოვნა და დაუხოცია. მერე თითონაც გადარეულა და ისიც მომკვდარა ბრძოლაში. ამაზედ არის ნათქვამი: თავ იმით მაიწყინაო.

[3] გაგნი—ადგილი, მთა თუშეთში.

[4] გაისთველხმელაო იტყვიან, შემოდგომაზედ რომ თოვლის მოსვლა დაიგვიანებს.

[5] ჰირის პატრონი—მკვდრის პატრონი.

[6] ომალო—სოფ. თუშეთში.

[7] ხვედეგი ძმის წული ყოფილა ლუხუმისა; სამაგიერო იმას გადაუხდია ლეკებისთვის, სისხლი უზღევავ. ასე: ლუხუმი ლეკებს მძინარე შეუპყრიათ და ტყვედ წაუყვანიათ. დაღისტანში ის მიცვალებულის პატრონს უყიდნია; წაუყვანიათ ლუხუმი და იმ მკვდრის საფლავზედ დაუკლავთ. გასულა მას შემდეგ კარგა ხანი. ლეკებს კიდეც დავიწყებიათ ეს ამბავი, მაგრამ ხვედეგს რა დაავიწყებდა?.. როცა დრო უხელთებია, ორი სხვა ამხანაგით იმ სოფელში მისულა, სადაც იმისი ბიძა დაუკლავთ... ჰცოდნია ვინც იყო იმის ბიძის დამკლავი „ჰირის პატრონი“, ჰცოდნია მის კოშკიც... ღამე მისდგომია ვახშამს უკან... ასვლა კოშკზედ ნიადაგ ძნელი იქნებოდა. ხვედეგს ხის სოლები ჰქონია დათლილი; კედელში ურჭვია ეს სოლები, საფეხურები გაუკეთებია და ასულა კოშკზედ. „როცა ავალ და შიგითურობას დავათვალიერებ—განიშნებთ და თქვენც ამოდითო“, ამხანაგებისთვის უთქვამს. მაგრამ როცა ჩაუხედნია და ნასხდომი ჯალაბობა უნახავ, თავი ვეღარ შეუკავებია, ჩახტომია მარტოკა და დაჰრევია. არ დაუნდვია არც დიდი და არც პატარა, არც ქალი და არც ვაჟი. ხუთი ძმა ბიძაშვილი, მათი ცოლ-შვილი, თუ სხვა ვინმე იქ მყოფი ყველა იმისის ხმლის მსხვერპლი გამხდარა... თითონ-კი ამხანაგებიანად ისევ მშვიდობიანად დაბრუნებულა შინა. დახოცილების მარჯვენა ხელებსაც-კი ნიადაგ წამოიღებდა თავისის კოშკისა და ქავცინის შესამკობად.

დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან).

9 ოქტომბერი

პეკინი. ინგლისის ელჩის მეცადინეობით, იმპერატორი ინახულა ფრანგმა მკურნალმა. ეს მკურნალი იმიტომ ამოირჩიეს, რომ იგი ერთად ერთი მკურნალია, რომელიც ოფიციალურად უცხო ქვეყნის საელჩოს ახლავს. როდესაც მკურნალი სასახლეში შევიდა, იმპერატორთან იყვნენ: იმპერატრიცა, პრინცი ჩჟინი და მრავალი მანდარინნი. იმპერატორი კარგ გუნებაზედ იყო და იმპერატრიცას დიდის პატივისცემით ექცეოდა. მკურნალმა გასინჯა იმპერატორი. იმპერატორს საშიში ავადმყოფობა არაფერი აღმოაჩნდა, მხოლოდ სუსტად ყოფილა.

პარიჟი. „Matin“-ი ამბობს: საკასაციო სასამართლომ პიკარის მოხსენებიდგან გაიგო, რომ არის საბუთის ქაღალდები, რომელნიც სამინისტროში იქმნა დატოვებული. სასამართლო დაუყოვნებლივ მოსთხოვს სჯულის საქმეთა მინისტრს, რომ გაუგზავნოს ეს საბუთის ქაღალდები.

„Figaro“ სწერს, რომ სჯა იმის შესახებ, შესაძლებელია თუ არა დრეიფუსის საქმის ხელ-ახლა განხილვა, მოხდება 15 ოქტომბერს. ამ საქმეს ერთს კრებას მოანდომებენო.

ნორტშილდი. ხაზინის კანცლერმა წარმოსთქვა სიტყვა, რომელშიაც განაცხადა, რომ თუ საფრანგეთი ფაშოდის საქმეში არ აღასრულებს იმას, რასაც ინგლისი თხოულობს, საქმე სერიოზულ ხასიათს მიიღებს. „უბედურება იქმნება,—განაგრძო კანცლერმა,—თუ, 80 წლის მშვიდობიანობის შემდეგ, სამეგობრო განწყობილება დაირღვა და ინგლისი ომში ჩაითრიეს, მაგრამ ომზედ დიდი უბედურება სხვაა და მთავრობა უკან არ დაიხევს, როდესაც დარწმუნებულია, რომ ხალხი მხარს უჭერს“.

◆

განცხადებანი

აღმასრულებელი კომისია, რომელსაც ტფილისის ცხენის რკინის გზის გამოსყიდვა და წარმოება აქვს მინდობილი, იწვევს იმათ, ვისაც ჰსურს ამ რკინის გზაზედ იმსახუროს, შეიტანონ კომისიაში ამის შესახები განცხადება 15 ოქტომბრამდე, ამასთან უპირატესობა მიეცემა იმათ, ვისაც წინად აქ ცხენის რკინის გზაზედ უმსახურია.

15 ოქტომბრიდგან კომისია თხოვნებს აღარ მიიღებს და მოსამსახურეთა რიცხვი შევსებულ იქმნება იმ კანდიდატებთაგან, რომელნიც კომისიასა ჰყავს აღნიშნული. განცხადებებს მიიღებს გამგეობის წევრი ვერმიშევი აღმაშენებელს განუოფილებაში.

(3—6.—3)

კელერის Z—სურნელოვანი წყალი

იყიდება ყველგან ყველა დიდ ვაჭართან. ეს სურნელოვანი წყალი მზადდება უკანასკნელ განვითარებულ საპარფიუმერო ხელოვნების დაგვარად.

თუმცა კელერის Z—სურნელოვანი წყალი მეტად ფაქიზი რამ არის, მაგრამ დიდად სურნელოვანია და სასიამოვნო სუნი უძლიერდება ცოტ ცოტად ხმარების დროს და ამასთანავე ასეთს სუნს არა ჰკარგავს-რამდენისამე დღის განმავლობაში. (келерскія Z—духи).

(3—მ.—3)

Дозволено цензурою, Тифлисъ 9-го Октября 1898 г.

სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა.

რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე